რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დემოკრატიული — — რესპუბლიკა.

რ. არსენიძე.

გამოცემა ამიერ-კავკ. მუშათა ს.-დ. ორგ. საოლქო
კომიტეტისა.

თფილისი.
სტამბა „სორაპანი“ მადათოვის კუნძული.
1917 წ.

დემოკრატიული რესპუბლიკა.

I

შესავალი.

მოახლოებულია არჩევნები დამფუძნებელ კრების, რომელმაც ახალი წესწყობილება უნდა დაამკვიდროს თავისუფალ რუსეთში.

დღეს ასეთ წყობილებათ თითქმის ყველა პროგრესიული პარტიები ასახელებენ დემოკრატიულ რესპუბლიკას. მარა ეჭვი არაა თვითეული პარტია, თვითეული კლასი ამ სიტყვებში განსაკუთრებულ შინაარს გულისხმობს. ამიტომ ზედმეტი არ იქნება გამოვარკვიოთ, თუ როგორ ვუყურებთ ჩვენ, სოციალდემოკრატები ამ საგანს.

დემოკრატიული რესპუბლიკა ორი სიტყვისაგან შესდგება: „დემოკრატიული“ და „რესპუბლიკა“. დემოკრატიული წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან **დემოსი**—ხალხი და ნიშნავს სახალხოს. რესპუბლიკა კი ლათინური სიტყვაა და ორ ნაწილს შეიცავს, რეს—საქმეები და პუბლიკა—საზოგადოება, ე. ი. საზოგადო საქმეები. აქედან ეს სახელწოდება ეძლევა სახელმწიფო საქმის საზოგადოების მიერ წარმოებას.

რატომ არ ვკმაყოფილდებით ჩვენ მარტო რესპუბლიკის მოთხოვნით და ვთხოულობთ დემოკრატიულ რესპუბლიკას? რატომ ორივე სიტყვას ვხმარობთ და არა ერთს?

აი რატომ. რესპუბლიკა საზოგადო საქმეების საზოგადოებისაგან წარმოებას ნიშნავს, მარა საზოგადოება მრავალნაირია, ჭრელია. არინ შიგ მდიდარიც და ღარიბიც, თავადიც და გლეხიც, კაპიტალისტიც და მუშაც, არიან გაბატონებულნი და დამორჩილებულნი. რომელმა უნდა აწარმოოს და მართოს საზოგადო საქმეები? რომელი უნდა იყოს ბატონ-პატრონი მთელი სახელმწიფოსი? ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი უნდა იყოს მთელი ხალხი, დემოსი, და ამიტომ ჩვენ გვინდა **რესპუბლიკა დემოკრატიული**, ე. ი. ისეთი, სადაც ხალხი, დემოსი, იქნება საზოგადოებრივ საქმის მართველი და გამგე, კანონმდებელი და ამსრულებელი.

სიტყვა „რესპუბლიკა" ამნაირათ აღნიშნავს ფორმას სახელმწიფოსას, სიტყვა „დემოკრატიული" კი ეხება შინაარსს.

განვიხილოთ ესენი ცალცალკე.

როგორ წყობილებას ეწოდება რესპუბლიკანური?

II

მონარქია და რესპუბლიკა.

დღემდის მთელი სახელმწიფოს სვე-ბედის გამგე—ერთი კაცი იყო—მეფე, იმპერატორი. ის სცემ-

და კანონებს, იძლეოდა ბრძანებას, ნიშნავდა მინისტრებს, მოხელეებს, მოსამართლეებს, და ამათი საშვალებით განაგებდა მთელ ქვეყანას.

ყოველი საქმე „მისი იმპერატორებითი უმაღლესობის უქაზით“ წყდებოდა. არც სიტყვის შემბრუნებელი, არც გამსწორებელი მას არავინ ყავდა. რაც თავში მოუვიდოდა, იმას ბრძანებდა და მის დამქაშებს უნდა აესრულებიათ. მას გარს ეხვია მასავით უპასუხისმგებლო პირისფარეშები და ნაზირ-ვეზირები, რომელთაგან თვითეული ცდილობდა მეფის გული მოეგო და თავისთვის რაიმე სასარგებლო დაეცინცლა: უმაღლესი მოხელეობის შოვნა, მამულის და ქონების ბოძების ქაღალდი მიეღო და სხვ. ერთი სიტყვით, იყო მეფე და მისი თანამხლებლები. თუ მმართველი უგუნური და უაზრო იყო ეს ხალხს აწვებოდა ტვირთათ. ამ უკანასკნელს უნდა ეზღო მათი წახდენილი საქმე. თუ ჭკუა და გონიერება გააჩნდა, ეს ხალხს ზურგიდან ორკეცი ტყავის აძრობას უქადდა, რადგან რაც მეტი გონიერება ქონდა მეფეს და მის დამქაშთ, მით მეტ უნარს და მოხერხებას იჩენდენ ხალხის გატყავებაში.

ამრიგათ ჭკვიანი მეფეც დიდი უბედურება იყო ხალხისთვის და უჭკუოც.

აი მაგალითები. ეკატერინე დიდი ჭკვიანი დედაკაცი იყო, მარა მთელ რუსეთს ბატონყმობის უღელი დაადვა, და სადაც ეს ყოვლად უსამართლო წესი არ არსებობდა, იქაც ძალათ შემოაღებინა. ალექსანდრე I არ იყო ჭკუას მოკლებული, მარა

საქართველოს დაპყრობა, მასთან დადებულ ხელ-შეკრულობის დარღვევა და ბატონყმობაში რუსულ-ი წესების, ერთ ბატონზე მიჯაჭვის შემოღება იმასაც არ უთაკილია.

ალექსანდრე II-ის სწორეთ ჭკვიანობით და მიხვედრილობით მოუვიდა გლეხთა „განთავისუფ-ლება", მარა ეს იმისთანა „განთავისუფლება" გა-მოდგა, რომ მაშინ გატყავული გლეხის ზურგი დღემდე არ მოშუშებულა. იმ დროიდან უმიწაწყ-ლოთ დარჩენილი გ. ეს-კაცობას დღევანდლამდე სული ხდება სხვის ყანებში მუშაობით, და შინ ცოლშვილი უტირის უპურობით

ამდენი ბრძოლა, სისხლის ღვრა და რევოლიუ-ციის მოხდენა შეიქნა საჭირო, რომ ამ უსამართ-ლობის გამოსწორება შესაძლებელი გამხდარიყო, გლეხისთვის წართმეული მიწის დაბრუნება დღიურ წესრიგში დამდგარიყო.

როგორიც მეფეა ისეთია მისი ხელ ქვეითები, ამის მტკიცება, დარწმუნებული ვარ, საჭირო არ იქნება. მკითხველს უჩემოთაც ექნება ნახული გემო ჩვენი ძველი მოხელეების, გუბერნატორიდან დაწ-ყებული—უკანასკნელ „სტრაჟნიკით" და „გოროდო-ვოით" გათავებული.

ამნაირათ აქ ხალხს ხმა არ აქვს, მას არაფერს ეკითხებიან. მის ნება-სურვილს ანგარიშს არ უწე-ვენ. აქ მთელი სახელმწიფო ერთი კაცია—იმპერა-ტორია.

ასეთ წყობილებას ეწოდება მეფის თვით-მპყრობელობა.

რევოლიუციამ დღეს ასეთი წყობილება დაამ-ხო, ტახტი გააუქმა. და ნუ თუ მის მაგიერ ახალი მეფე უნდა წამოვასკუპოთ?

ასეთი სულელი ვინ იქნება, იტყვის მკითხველი, განა სისხლი იმისთვის დავღვარეთ, რომ ხელ ახლა ბატონი დავისვათ კისერზე?

მარა საქმე არც ისე მარტივია, როგორც მკითხველს გონია. მეფე რუსეთში ჯერ კიდევ ბევრს უნდა ისევ ტახტზე წამოასკუპოს.

რევოლიუციის მეორე დღეს ლიბერალების ლიდერმა მილიუკოვმა განაცხადა, ნიკოლოზის ნაცვლათ ტახტზე გვინდა მისი შვილი დავსვათ და რეგენტათ, ე. ი. აპეკუნათ, მეფის ძმა მიხეილი დავუყენოთო. რომ რევოლიუციონურ ხალხს სიმაგრე არ გამოეჩინა – ეს პლანი დღეს განხორციელებული იქნება, მიხეილ რომანოვი მეფეთ გვეყოლება „ნებითა ძმისა თვისისა". მარა პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭომ გადაჭრით მოითხოვა მეფის ტახტის დამფუძნებელ კრებამდე გაუქმება და იგი დღემდე ცალიერია. მიხეილ რომანოვი, როგორც მისი პირველი კანდიდატი, დამფუძნებელ კრების განაჩენს უცდის, რომ ისევ ტახტზე დაემკვიდროს.

ჩვენი მიზანია ეს განაჩენი მის სასარგებლოთ არ იქნეს და ტახტი სამუდამოთ ცალიერი დარჩეს. ხალხს მეფე არ ესაჭიროება. დღეს უმეფოთაც, როგორც ვხედავთ, ჩინებულათ ვცხოვრობთ, ბევრათ უკეთესათ, ვინემ მეფის დროს. ახლა სულს არავინ გვაძრობს და მათრახებს არ გვილაწუნებს.

მოხელეებსაც ჩვენ ვირჩევთ და მეფის დასტური აღარ გვესაჭიროება.

მაშ, ვის უნდა მეფე?

იმას, ვისაც არ სურს ხალხს სრული თავისუფლება ქონდეს გვეტყვიან, მეფე უნდა იყოს, მარა შეზღუდული, ხალხის ნების ამსრულებელიო.

არის ასეთი ქვეყნები, სადაც რევოლიუციამ სრული გამარჯვება ვერ მოიპოვა, სადაც ამიტომ მეფის ჩამოგდება ვერ მოხერხდა და იგი მხოლოდ შეიზღუდა უფლებებში ხალხის წარმომადგენლებისაგან.

ასეთ წყობილებას ეწოდება მონარქიული კონსტიტუცია.

აქ ხალხის სვე-ბედს განაგებენ მეფე ერთ-მხრით და ხალხის არჩეული დეპუტატები მეორე მხრით. ამათ შორის არის განაწილებული უფლება კანონის გამოცემის და ასრულების. ზოგან მეფეს მეტი უფლება აქვს, ზოგან ხალხის არჩეულ დეპუტატებს, ანუ პარლამენტს.

ჩვენც გვქონდა სახელმწიფო დუმა. მარა იქ გაგზავნილ ჩვენს დეპუტატებს უფლება ქონდათ მხოლოდ ლაპარაკის, იგიც ყველაფერზე კი არა,— და მათ დადგენილებას კი თუ სახელმწიფო საბჭო არ მოიწონებდა და მეფე არ დაამტკიცებდა, ისე ძალაში შესვლა არ შეეძლო.

ამ რიგათ ფაქტიურათ სახ. დუმა ლაპარაკობდა, მეფე კი მოქმედებდა. ყველა მოხელეებსა და მოსამართლეებს ის ნიშნავდა. მინისტრები მის ხელში იყო. ერთი სიტყვით მეფის თვითმპყრობელობა არსებითათ თითქმის სრულიად შეუზღუდველი იყო.

ევროპაში არის ისეთი ქვეყნებიც, სადაც პარლამენტს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ ჩვენში ქონდა სახ. დუმას.

ამ ქვეყნებში კანონის გამოსაცემათ საჭიროა ერთი მხრით პარლამენტის თანხმობა, მეორე მხრით მეფის, უკეთუ მათ შორის შეთანხმება არ ხდება, კანონი უარყოფილათ ითვლება. თუ პარლამენტი ჯიუტობას იწყებს--მეფეს უფლება აქვს იგი გარეკოს და ხელ-ახალი არჩევნები დანიშნოს. არჩევნების დროს კი შეცდება, რასაკვირველია, ხალხს ძალა დაატანოს და თავის სასურველი დეპუტატები აარჩევინოს...

ამიტომ აქ ამ ორ ძალთა შორის უთანასწორო ბრძოლა წარმოებს, რის გამო ხალხის სასარგებლო კანონის გამოცემა შეფერხებულია.

მეფის თვითნებობა აქ მხოლოდ შეზღუდულია და არა გაუქმებული. ამიტომ ასეთ წყობილებას **შეზღუდული მონარქია** ეწოდება. ამ წყობილებაში არც მეფეს აქვს სრული ბატონობა, არც ხალხს, მარა ამით მხოლოდ გაბატონებული კლასები სარგებლობენ. მეფე მაღალი წრის კაცია და მათ ინტერესებს ემსახურება. მუშათა კლასი და საზოგადოთ მშრომელი მასსა, საზოგადოების ღარიბი ნაწილი კი დაჩაგრული და აბუჩად აგდებულია.

მდგომარეობას აუარესებს ისიც, რომ ამსრულებელი ძალა ერთიანათ მეფის ხელშია. მოხელეები, მინისტრები და სხვა მის განკარგულებაში იმყოფებიან მართალია ზოგან პარლამენტს უფლება აქვს

მინისტრებს უნდომრობა გამოუცხადოს და გადააყენოს, რაიცა საშვალებას აძლევს მათზე მეფის გავლენა შეასუსტოს და თავისი გააძლიეროს, მარა ზოგან ხალხის წარმომადგენლები ამ უფლებასაც მოკლებული არიან. ასეთი მდგომარეობა იყო რუსეთში რევოლიუციამდე. ასეთი წესებია გაბატონებული გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთშიაც, თუმცა იქაურ პარლამენტებს საერთოთ გაცილებით მეტი უფლებები აქვს, ვინემ სახელმწიფო დუმას ქონდა ჩვენში.

ამიტომ ამ სახელმწიფოებს ნახევრათ თვითმპყრობელური სახელმწიფოები ეწოდება. და იქაურ მეფეებს—ნახევრათ-თვითმყრობელი.

მხოლოდ ინგლისს ყავს ისეთი მეფე, რომელსაც თითქმის არავითარი უფლება არა აქვს სახელმწიფო საქმეებში ჩარევის. მისი მოვალეობაა მხოლოდ ხელის მოწერა და ჯამაგირის მიღება.

მარა ინგლისის ხალხს 7 საუკუნე დასჭირდა მეფეებთან საბრძოლველათ, რომ მათი უფლებები და ბატონობის სურვილი ასეთ არარაობამდე დაეყვანა.

ჩვენ არ გვსურს, რომ ერთი კაცის ნება სურვილს იმდენი ან მეტი მნიშვნელობა ქონდეს, რამოდენიც ათი-ათას და მილიონ ხალხს აქვს.

ჩვენ არც ის გვინდა, რომ 7 საუკუნე ვიბრძოლოთ და შემდეგ მუქთა მჭამელი გავიჩინოთ სარჩენათ.

ჩვენ მუშა ხალხისთვის მეტ ბარგათ და სა-

ზარალოთ მიგვაჩნია როგორც უფლებიანი მეფე, ისე უუფლებო.

ჩვენი მიზანია — უმეფო წყობილება. მეფის ნაცვლათ ქვეყნის მართვა-გამგეობა უნდა ჩაბარდეს ხალხის მიერ არჩეულ პირთა კრებულს, ხალხის ნდობით აღჭურვილს, რომელნიც ყოველ საქმეს მისი სახელით და მისი სურვილის თანახმათ გააკეთებენ.

აი, ასეთ წყობილებას, სადაც მეფის ტახტი გაუქმებულია და მთელი მართვა გამგეობა ხალხისაგან არჩეული პირების ხელშია, ეწოდება რესპუბლიკანური წყობილება.

III.

დემოკრატიული რესპუბლიკა და საარჩევნო სისტემა

რესპუბლიკა სხვადასხვანაირია. იმისდა მიხედვით, თუ ვინაა მასში გაბატონებული, არისტოკრატია, ე. ი. მემამულეთა კლასი, ბურჟუაზია, თუ ხალხი, მასსა, რესპულიკაც არის არისტოკრატიული ბურჟუაზიულ-ლიბერალური და დემოკრატიული.

რითაა გამოწვეული ამა თუ იმ კლასის გაბატონება?

პირველ ყოვლისა რასაკვირველია ეკონომიური ბატონობით, ე. ი. იმ ეკონომიური ძლიერებით, რომელიც ამა თუ იმ კლასს აქვს მოპოვებული საზოგადოებაში.

ძველ საბერძნეთში მთავარი წოდება მემამუ-

ლეთა კლასი იყო და მათი „დემოკრატიზმი“ მემამულეთა წრეს არ სცილდებოდა. იქ მონა, უფლებას მოკლებული სახელმწიფო საქმეებში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა.

თანამედროვე ევროპის სახელმწიფოებში თითქმის ყველგან როგორც მონარქებში, ისე რესპუბლიკებში ბურჟუაზიული კლასი წარმოადგენს ეკონომიურათ ყველაზე ძლიერს და ამიტომ პოლიტიკურათ გაბატონებულია.

ამ ფაქტის შეცვლა ჩვენ დღესდღეობით მაინც არ შეგვიძლია.

მათი ეკონომიური ბატონობის დაცემა—მომავალი სოციალისტური რევოლიუციის საქმეა.

დღეს კი ჩვენ წინ პოლიტიკური რევოლიუცია წარმოებს და ამის შედეგათ ახალ პოლიტიკურ წყობილების დამყარებაა გამხდარი მორიგ საკითხათ.

გაბატონებულ კლასებს ძალიან უყვართ თავის უპირატესობანი კანონით გაამაგრონ და ასე დემოკრატიისგან უზრუნველყოფილი გახადონ, ე. ი. ეკონომიურ ბატონობას, პოლიტიკური პრივილეგიებიც დაუმატონ და ამით თავისი ძალა და გავლენა გაორკეცონ.

თუ პირველ ბატონობას დღეს კიდევ არა ეშველება რა, მეორის გაუქმება ჩვენს ხელთ არის. დღევანდელმა პოლიტიკურმა რევოლიუციამ ეს უნდა მოიმოქმედოს.

რა საშუალებით აღწევს ბურჟუაზია თავის მიზანს?

უსამართლო საარჩევნო სისტემით და არა დემოკრატიულ სახელმწიფო ორგანიზაციით. განვიხილოთ ესენი ცალკე.

თუ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას უმთავრესათ მიწისმფლობელობით განვსაზღვრავთ, ცხადია არჩეული დეპუტატებიც მემამულეთა კლასის წარმომადგენლები იქნებიან და ფეოდალთა ინტერესებს დაიცავენ. ასე იქცეოდა მაგ. მესამე და მეოთხე სახ. დუმის უმრავლესობა.

მარა დემოკრატია ასეთ წესს ვერ შეურიგდება.

მემამულეთა კლასი, მსხვილი თავად-აზნაურობა გაქრობის გზას ადგია. რევოლიუციამ თვითმპყრობელობის დამხობით მათ ეკონომიურ არსებობას კი სამარე გაუთხარა, მან—მიწების კონფისკაცია მორიგ კითხვათ დასვა. მიწის ჩამორთმევით ეს მცონარე და უსარგებლო კლასი გაქრება, ფეოდალიზმი ძირბუდიანათ ამოიფხვრება.

ცხადია ასეთ პირობებში მათ პოლიტიკურ პრივილეგიებით აღჭურვა ფიქრათაც არავის მოუვა. არისტოკრატიული რესპუბლიკები ძველი საბერძნეთის და რომის იმ ხანას გადაყვა, რომელსაც მონობის ხანა ეწოდება. დღეს უკვე ასეთი კლასის ბატონობას არსად ადგილი არა აქვს და არც რუსეთში ექნება.

სამაგიეროთ დღევანდელმა კაპიტალისტურმა ცხოვრებამ მემამულეთა ნაცვლათ ბურჟუაზიული კლასები წამოაყენა. ბურჟუაზია თუმცა პირველი მებრძოლი იყო ოდესღაც ძმობის, თანასწორობის და

თავისუფლებისთვის, მარა ადამიანს იგიც ქონებით აფასებს და არა ადამიანობით. ამიტომ პოლიტიკურ უფლებებს იგი ანიჭებს შეძლებას, ქონებას, შემოსავალს და არა მოქალაქეს. მისი სანატრელი საარჩევნო უფლებაც ცენზიანი არჩევნებია. ვისაც ქონება აქვს, ის ირჩევს, ვისაც არა, მას სახელმწიფოს წყობილების არაფერი არ უნდა ეკითხებოდეს. ასეთია მისი დევიზი, ამით იგი თავიდან იშორებს ყველაზე საშიშ მტერს—მუშათა კლასს, რომელსაც ისტორიმ მისი მესაფლავეს როლი დააკისრა: დანარჩენ კლასების და ჯგუფების მას არ ეშინია.

მუშათა კლასის უფლებას კი ყოველგვარი შეზღუდვა ამცირებს.

მიეცით არჩევნების უფლება ქონების პატრონთ, პროლეტართა კლასი გარიყული დარჩება. მას ქონება არა აქვს. მოსთხოვეთ ერთი წლის ცხოვრების ვადა იმ ადგილში, სადაც კენჭის ყრა ხდება და მუშათა დიდი ნაწილი—მუდამ სამუშაოს საძებრათ მოსიარულე, აქაც უფლება აყრილი შეიქნება. ერთი სიტყვით, ყოველი ზღუდე—მისთვის ბორკილია.

ცხადია თუ ასეთი ზღუდე დარჩა რუსეთის მომავალ რესპუბლიკაში, მაშინ დეპუტატთა კრებულში, ე. ი პარლამენტში უმთავრესათ მხოლოთ შეძლებული ბურჟუაზიის წარმომადგენლები მოხვდებიან და ამით თვით რესპუბლიკა—ბურჟუაზიულ-ლიბერალური იქნება. მუშათა კლასს იქ ან სულ არ ეყოლება წარმომადგენლები, ან ძალიან მცირე და უმნიშვნელო.

აი ამიტომ მუშათა კლასის პარტია, სოციალ-დემოკრატია, გადაჭრით წინააღმდეგია საარჩევნო უფლების ყოველგვარი შეზღუდვის. რევოლიუცია ხალხმა, დემოკრატიამ, მოახდინა. და საარჩევნო სისტემაც უნდა დემოკრატიული იქნეს, ე. ი. არჩევნების უფლება უკლებლივ მთელ ხალხს მიენიჭოს. მხოლოდ ისეთ წყობილებას, სადაც ხალხი, მთელი მასსა არის წყარო და სათავე ყოველივე უფლების, სადაც მისი ყოველი წევრი თანასწორი უფლებით არის აღჭურვილი, მხოლოთ ისეთ წყობილებას ეწოდება დემოკრატიული.

სოციალდემოკრატიული პარტია, როგორც წარმომადგენელი ყველაზე უფრო დემოკრატიულ კლასის—პროლეტარიატის საუკეთესო და თავდადებული დამცველია დემოკრატიის ინტერესების. ამიტომ იგი მომხრეა **ხალხის თვითმყრობელობისა**, ე. ი. ისეთი წყობილების, სადაც ყოველივე მხოლოდ და მხოლოდ ხალხის თავისუფლათ გამოთქმულ ნება სურვილზე იქნება დამოკიდებული.

ამ მიზნით **სოციალდემოკრატიული პარტია თხოულობს, რომ არჩევნები მოხდეს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცეს ყველა სრულწლოვან (20 წლის) მოქალაქეს განურჩევლათ სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.**

მხოლოდ ასეთ პირობებში შეუძლია ხალხს თავის სასურველი კანდიდატები აირჩიოს და მარ-

თვა-გამგეობა თავის სანდო პირებს ჩააბაროს. მხოლოდ ასეთ არჩევნებს ეწოდება დემოკრატიული და ეს უნდა დააკანონოს დამფუძნებელმა კრებამ.

IV.

ერთპალატიანი რესპუბლიკა.

მარტო სახალხო არჩევნების შემოღება არ კმარა დემოკრატიის ინტერესების დასაცველათ. ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა თვით სახელმწიფო წყობილებაში ისეთი სისტემის წესი იქნეს დაწესებული, რომელიც ხალხისთვის უფრო ხელსაყრელია.

აქედან ჩვენ წინაშე სდგება საკითხი სახელმწიფოს ორგანიზაციის, რაიც ძირითად კანონებში უნდა იქნეს აღნუსხული და დამტკიცებული

ამ **ძირითად კანონების კრებულს ეწოდება კონსტიტუცია**, როგორი უნდა იყოს კონსტიტუცია დემოკრატულ რესპუბლიკაში?

ყოველ სახელმწიფო ორგანიზაციას სამი ძირითადი მოვალეობა აქვს. პირველი და უმთავრესია მიმდინარე კანონების გამოცემა, სახელმწიფო შემოსავალ-გასავალის დამტკიცება და სხვ. რისთვისაც უნდა დაარსდეს განსაკუთრებული საკანონმდებლო ორგანო. მეორეთ საჭიროა კანონების და სხვა დადგენილებების სისრულეში მოყვანა, ცხოვრებაში გატარება. ეს ევალება აღმასრულებელ ძალას. სემანეა—კანონის დამრღვევთა განსჯა და სამართ-

ლის აღდგენა. ეს მოვალეობა სამოსამართლო ძალას აქვს დაკისრებული.

ამნაირათ საჭიროა სამი ორგანო: კანონმდებელი, ამასრულებელი და სასამართლო. ამ სამი ნაწილისაგან შესდგება ყოველი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა.

როგორ უნდა მოეწყოს ეს სამი ორგანო, ე. ი. ძალა კანონმდებელი, ამასრულებელი და სასამართლო? რა გვარი იქნება მათი ორგანიზაცია?

ამის პასუხი უნდა მოგვეცეს დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც სპეციალურათ ამისთვის იკრიბება.

დამფუძნებელი კრება მხოლოდ ამ ერთხელ იქნება. შემდეგ კი დაგვრჩება მუდმივი ორგანიზაციები, რომელთაც ის შემოიღებს, ე. ი. კონსტიტუცია, რომელსაც ის შეიმუშავებს.

სახელმწიფო დაწესებულებების სიავ-კარგე ამ კონსტიტუციის სიავ-კარგეზეა დამოკიდებული.

ამიტომ იგი ჩვენგან ორკეცი ყურადღების ღირსია.

პირველი კითხვაა: ვინ უნდა იყოს კანონმდებელი რესპუბლიკის დროს?

რესპუბლიკანურ წყობილებაში ბევრნაირ საკანონმდებლო წესებს შეხვდებით. საფრანგეთში და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მაგ. კანონის გამოსაცემათ ორი პალატა არსებობს: ზედა და ქვედა. ქვედა პალატას ეწოდება პარლამენტი, ამერიკაში კონგრესი, ზედას—სენატი. ქვედა პალატაში სხედან ხალხის მიერ პირდაპირი, საყო-

ველთაო, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით არჩეული დეპუტატები. ზედა პალატაში კი ადგილობრივ თვითმართველობისაგან, [ამერიკაში შტატებისაგან] გამოგზავნილი დეპუტატები. ამნაირათ ზედა პალატის არჩევნები ორსართულიანია, ესე იგი არადემოკრატიული. ამიტომ თვით ეს ზედა პალატა უმთავრესათ შეძლებულ კლასთა წარმომიდგენელია. დემოკრატიას კი მასში ცოტა ან სრულიად არავითარი გავლენა არ აქვს. პარლამენტიდან კანონი,—პროექტი ჯერ ამ ზედა პალატაში ანუ სენატში გადადის. და თუ მანაც მოიწონა, მაშინ იგი რესპუბლიკის პრეზიდენტს წარედგინება დასამტკიცებლათ. თუ ერთმა ამათგანმა კანონი უარყო, იგი ძალაში ვერ შევა და კანონათ ვერ იქცევა.

ამრიგათ კანონს აქ სამი საფეხური აქვს გასავლელი, რის გამო იგი იცხრილება და ბოლოს ხალხისთვის სრულიად გამოუსადეგარი, ან პირდაპირ მავნებელი ხდება.

მკითხველი ადვილათ დაინახავს, რომ კანონების გამოცემის წესი აქ ისეთივეა, როგორც შეზღუდულ მონარქიაში, სადაც სახელმწიფოს სათავეში მეფე უდგას. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მეფის ადგილი აქ პრეზიდენტებს უჭირავს. ამნაირათ ასეთ რესპუბლიკაში ორი დაწესებულებაა ზედმეტი ხალხის ინტერესებისათვის: ზედა პალატა და პრეზიდენტი.

განვიხილოთ ესენი თვითეულათ.

ქვედა პალატაში, ანუ პარლამენტში ხალხის წარმომადგენლებია არჩეული, .ე. ი. ისეთი პირები, რომელნიც ხალხის ინტერესებს საუკეთესოთ გამოხატავენ, რამდენადაც კი ეს დღევანდელ პირობებში შესაძლებელია.

ხოლო საჭიროა კიდევ მის ზევით მეორე პალატის წამოსკუპება და თუ იქ იგივე წარმომადგენლები იქნებიან, რაც ქვედა პალატაში, მათი არსებობა სრული უაზრობა და წყლის ნაყვა იქნება. ამიტომ ეს არსად ასე არ ხდება.

პირიქით ზედაპალატაში ყოველთვის სხედან შეძლებული კლასების წარმომადგენლები. ინგლისში ლორდები, ე. ი. მსხვილი მემამულეები მეფისაგან დანიშნულნი, საფრანგვთში სენატორები, რომელნიც არჩეულ არიან ნახევრათ ბიუროკრატიულ თვითმართველობისაგან და, ამიტომ უფრო გაბატონებულ კლასების ინტერესების დამცველათ გამოდიან, ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში სენატის წევრთ შტატების პარლამენტები ირჩევენ. და რადგან პარლამენტების უმრავლესობა ბურჟუაზიის წარმომადგენლების ხელშია, სენატში ისინი თავიანთ მომხრეებს გზავნიან.

ამბობენ ზედა პალატა საჭიროა იმისთვის, რომ ქვედა პალატას შეცთომები გაუსწოროს, მის ნაუცფათევ გადაწყვეტილებაში მეტი დაკვირვება და სიფრთხილე შეიტანოს, ერთი სიტყვით, დინჯი და მოფიქრებული მუშაობა აწარმოვოსო. მარა ეს მხოლოდ გულუბრყვილოთა მოსატყუებელი საკენკია.

ნამდვილათ კი ჩვენ ვიცით, რომ ეს სიდინჯე და მოფიქრება მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა მუშათა და გლეხთა სასარგებლო კანონების გაჩერება, უარყოფა ან და, თუ ეს შეუძლებელია, გაუარესება და დაგვიანებაა საჭირო გაბატონებულ კლასებისთვის.

ზედა პალატა პროგრესიულ კანონმდებლობის ტორმოზიკ.

როცა კითხვა პრივილეგიურ კლასების დაცვას ეხება ის მას სიხარულით და საჩქაროთ იღებს.

ხოლო მუშათა სოციალურ კანონმდებლობას კი კრიჭაში უდგება.

სამუშაო დღე, მუშების დაზღვევა, პროგრესიულ შემოსავლისდაგვარად განაწილებულ გადასახადებისა შემოღება ქონებაზე, მიწის ღალის შეძვირება და სხვ. ასეთი ყოველთვის ადინჯებს და აფიქრებს ამ პატივცემულ გვამთ.

ზედა პალატა ყოველ სოციალურ კანონმდებლობის მტერია.

იგი ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპს. იგი მხოლოდ ხარჯს ითხოვს და საქმეს აფუჭებს. ორპალატიანი რესპუბლიკას დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ დაერქმევა.

ამიტომ ჩვენ უარვყოფთ ორ პალატიან სისტემას და მოვითხოვთ ერთ პალატას, ე. ი. ერთ საკანონმდებლო პარლამენტს, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით არჩეულს.

V

რესპუბლიკა პრეზიდენტით.

რა გვაქვს საწინააღმდეგო არჩეულ პრეზიდენტის? განა იგი აუცილებელი არ არის? გაიკვირვებს მკითხველი.

ვნახოთ. პრეზიდენტის უფლება წარმოსდგება მეფის უფლებიდან. იქ, სადაც მეფის ტახტი გაუქმებულია, ე. ი. მართვაგამგეობის უფლება მემკვიდრეობით მამიდან შვილზე აღარ გადადის, მეფის მოვალეობას პრეზიდენტი ასრულებს. იგი არჩეული მეფეა.

მას ირჩევს ზოგან პირდაპირ ხალხი, ზოგან საკანონმდებლო საკრებულო; ირჩევს განსაზღვრული ვადით, საფრანგეთში 7 წლით, ამერიკის შტატებში 4-ით მისი უფლებები და მოვალეობები მეტნაკლებია, ზოგან დიდია, ზოგან მცირე, ისე როგორც მეფის. აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი: პირველ ყოვლისა პრეზიდენტი ამტკიცებს კანონებს და ამით მონაწილე ხდება საკანონმდებლო მუშაობის მის ნებადაურთველად ვერც ერთი კანონი ძალაში ვერ შევა. და იგი სარგებლობს კიდეც ამ უფლებით და ხშირათ დამტკიცებაზე უარს ამბობს. აი მაგალითით. ამერიკის შტატებს დემოკრატიულ რესპუბლიკას უწოდებენ, ზოგიერთ ბურჟუაზიულ მწერლებს იგი ზეცამდე აყავთ ქებით, და ბევრში მართლაც საქები არის, მაგრამ პრეზიდენტის უფლებები კი მოიკოჭლებს. მისოდენი უფლებები ზოგიერთ ევროპის მირონცხებულ მეფესაც

კი არ მოეპოვება. და აი შედეგები ამის: მარტო ერთმა პრეზიდენტმა გროვეს კლიველენდმა 8 წლის განმავლობაში [იგი ორჯერ იყო პრეზიდენტად] 301 კანონპროექტი, ე. ი. ბილი უარყო, ხალხის წარმოწარმომადგენლებისგან მოწონებული. კონსტიტუციის ძალით პრეზიდენტისგან დაწუნებულმა კანონპროექტმა შემდეგ ორი მესამედი ხმა უნდა მიიღოს ორივე პალატაში ე. ი. კონგრესში და სენატი, რომ კანონათ იქცეს. ეს კი იშვიათი მოვლენაა. კლიველენდის მიერ უარყოფილ 301 კანონპროექტში არც ერთი არ ქცეულა ამ გზით კანონათ.

რამდენი შრომა, ენერგია, დრო და ხარჯი დაიკარგა ამ კანონპროექტების შემუშავებაზე და პრეზიდენტმა ერთის კალმის მოსმით გააქარწყლა. და განა შეიძლება ასეთი პრეზიდენტის ყოლა დემოკრატიულ რუსეთში?

გავყვეთ ქვევით. პრეზიდენტის ხელშია ამასრულებელი ძალა. იგი ნიშნავს მინისტრებს, რომელიც ზოგან, როგორც მაგ. ამერიკის შტატებში მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხის მგებელი, ზოგავ კი, მაგ. საფრანგეთში, პარლამენტის წინაშე, წორეთ ისე, როგორც მონარქიულ სახელმწიფოშია. შემდეგ პრეზიდენტის ხელშია ჯარი. იგი ნიშავს ჯარის უფროსებს და რასაკვირველია ამ ადილებს თავის ერთგულთ აძლევს, რომ ჯარი ყოელ შემთხვევისთვის თავის სრულ მორჩილებაშ ყოლიოს. ის არის წარმომადგენელი რესპუბლიკის]ცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, იგი აც-

ხადებს ომს და კრავს ზავს, იგი მეთაურობს საიდუმლო დიპლომატიას. თავისთავათ ცხადია ყველა ამ კითხვებში იგი რამდენიმეთ ყველგან შეზღუდულია, ისე როგორც მეფე. ბოლოს და ბოლოს განსხვავება მასა და მეფის შორის მხოლოდ ისაა, რომ მეფის უფლება მუდმივია, მემკვიდროებითია, პრეზიდენტის კი ვადიანი, დროებითი. მეფე „ღვთისგან რჩეულია“, პრეზიდენტი კი ხალხისგან.

ამ უკანასკნელ გარემოებაში კი იფარება ერთგვარი საშიშროება ხალხასათვის. პრეზიდენტი, ასე ვთქვათ, ხალხისგან ნდობით აღჭურვილია და მისი სახელით ლაპარაკობს. განა არ შეუძლია ამ ნდობას დაეყრდნოს და ძალაუფლების სამუდამოთ შენარჩუნება მოისურვოს?

მაგალითი ასეთი სურვილისა და მისი განხორციელებისაც არა ერთი იცის ისტორიამ. მაგ. ნაპოლეონ მესამემ 1848 წლის რევოლიციის შემდეგ პრეზიდენტობა მიიღო ხალხისაგან. სულ მცირე ხნის შემდეგ კი ხალხის სახელით კონტრ-რევოლიუცია მოახდინა, ჯარის წემწეობით დეპუტატთა პალატა გარეკა და თავი იმპერატორათ გამოაცხადა. საფრანგეთის ხალხმა სრული ოცი წელიწადი ატარა ამ პატარა დესპოტის მძიმე უღელი და მხოლოდ საშინელი ომის და ხელახალი რევოლიუციის შემდეგ მოახერხა ამ ძალათ ტახტზე წამოსკუპებული მეფის იქიდან ჩამოგდება ეს მოხდა 1871 წელს. და მას აქეთ საფრანგეთში რესპუბლიკანური წყობილება დამკვიდრდა. განა სასურველი იძნება, რომ ჩვენც

ასეთი შეცთომა გავიმეოროთ, და რომელიმე ავანტიურისტი თავზე დავისვათ?

მარა ხომ შეიძლება პრეზიდენტი უფლებას მოკლებული იყოს, როგორც ინგლისის მეფე, და მართვა-გამგეობის საქმეში არ ერეოდეს? თეორეტიულათ, რასაკვირველია, შეიძლება. პრაქტიკულათ კი ასეთ პრეზიდენტობას არავითარი აზრი არ ექნება.

ანდა რისთვის უნდა მოვახდინოთ არჩევნები, გავწიოთ აგიტაცია, დავკარგოთ დრო და ენერგია? მხოლოდ იმისთვის, რომ ერთ ადამიანს საპატიო და კარგი ჯამაგირიანი ადგილი მოვუპოვოთ?

არა პრეზიდენტი სრულიად ზედმეტია, უარეს შემთხვევაში იგი ხალპის უფლებას ორათ გაყოფს და ხალხის არჩევნებით ზურგ-გამაგრებული, ამავე ხალხს ბატონათ მოევლინება. ამით იზარალებს რასაკვირველია პირველ ყოვლისა მდაბიო, ულარიბესი ნაწილი საზოგადოებისა. გაბატონებულნი და „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, რომელნიც მეფის გარშემოც ითბობდენ ხელს, მის გარშემოც ადვილათ მოიკალთებენ; მათ ათასგვარი საშვალება მოეპოვებათ მის გულის მოსაგებათ და თავის ნება-სურვილზე დასამორჩილებლათ. საუკეთესო შემთხვევაში კი იგი ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევს, მისი პარადები, სასახლეები, მეჯლიშები და სხვ. ხალხის ჯიბეს დააწვება ტვირთათ.

ცხადია პრეზიდენტი ეამოადგება ბურჟუაზიას და არა მუშათა კლასს, არა ფართე დემოკრატიულ საზოგადოებას.

მარა შეიძლება უამისოთ რესპუბლიკის არსებობა?

სულ იოლათ. აი მაგალითები. შვეიცარიის რესპუბლიკას პრეზიდენტი არა ყავს, მარა ამით არაფერი არ დაშავებია. მის მაგიერობას იქ ფედერალური საბჭოს (ჩვენებური სამინისტროა 7 კაცისაგან შემდგარი) თავმჯდომარე ასრულებს, რომელსაც საბჭო თითო წლის ვადით ირჩევს თავის წრიდან. ეს თავმჯდომარე მხოლოდ საბჭოს კრების ხელმძღვანელია და ამიტომ არავითარი განსაკუთრებული უფლებები და მოვალეობები არ აძევს.

მართვა-გამგეობის საქმეებს საერთოთ მთელი საბჭო უძღვება. მეორე მაგალითი დღევანდელი რუსეთია. დღეს ჩვენ არც მეფე გვყავს და არც პრეზიდენტი არის მხოლოდ დროებითი მთავრობა სამინისტროს სახით, რომელსაც ერთი მინისტრთაგანი თავმჯდომარეობს. ქვეყნის მართვა-გმმგეობისთვის ეს სრულიათ საკმარისია, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენში დღეს გარეთ ომისა და შიგნით მოუწყობლობის გამო მდგომარეობა მეტათ რთული და დახლართულია. ცხადია, თუ დღეს, ამ გადამავალ ხანაში არაა საჭირო პრეზიდენტი, შემდეგში, როცა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება მით უმეტეს აღარ დაგვჭირდება ის.

ამიტომ ჩვენ ამ თავითვე უნდა დავავალოთ ჩვენ დეპუტატებს, რომელთაც დამფუძნებელ კრებაში გავგზავნით, რომ რუსეთის ძირითად კანონებში პრეზიდენტს ადგილი არ ექნეს.

ჩვენ გვინდა რესპუბლიკა უპრეზიდენტო.

VI.

პარლამენტი. რეფერანდუმი. ინიციატივა.

როგორი უნდა იყოს საკანონმდებლო ორგანიზაცია?

რაც შეიძლება მარტივი და სადა. ყველაზე უკეთესი და სწორია ხალხის **პირდაპირი მონაწილეობა** კანონმდებლობაში ე. ი. კანონის შემუშავებას და გამოცემაში. ასეთი, წესი განხორციელებულია შვეიცარიის ზოგიერთ კანტონებში (პროვინციებში). ამ კანტონებში დაახლოვებით 20—30 ათასი მცხოვრებია. წელიწადში ერთხელ ეს ხალხი იყრის თავს და ადგენს საჭირო კანონებს. ირჩევს მთავრობის მოხელეებს და სხვ. კრება მოედანზე ხდება. და საცა უფროსები კანონმდებლობენ მოზრდილობა ზევით მაღლობზე დამსხდარი უყურებს და გამოცდილებას იძენს. ამას ეწოდება **პირდაპირი კანონმდებლობა** და ასეთი წესი ყველაზე უფრო დემოკრატიულია. ის ხალხის სურვილს ღა ნებას ყველაზე უფრო სწორათ და უტყუარად გამოხატავს.

მარა თვალ უწვდენელ რუსეთში, სადაც მრავალი მილიონი ხალხი ცხოვრობს, ეს ყოვლად შეუძლებელია. ერთად ერთი საშვალება კანონმდებლობისა ჩვენში არის წარმომადგენლების (დეპუტატების) საშვალებით კანონმდებლობა. ამ შეითხვევაში ხალხი თვითონ პირადათ არ სარგებლობს თავის უზენაეს უფლებით, არამედ ანდობს მას თა-

ვის არჩეულ დეპუტატებს, ე. ი. პარლამენტს რომელიც მისი ნებით და სახელით მოქმედებს.

ამნაირათ ჩვენ, სოციალდემოკრეტები, ვამბობთ, რომ **კანონმდებლობის უფლება უნდა მიეცეს ხალხის არჩეულ დეპუტატებს, რომელნიც შეადგენენ ერთ პალატას, ან ერთ პარლამენტს.**

ამ ერთ პარლამენტში იქნებიან, ერთათ თავმოყრილი წარმომადგენლები ყველა კუთხის და გუბერნიის, ე. ი. მთელი რუსეთის და ამიტომ მათ სიტყვას დიდი მნიშვნელობა და გავლენა ექნება.

ჩვენ, სოციალდემოკრატები, ვერ დავმალავთ ხალხისაგან იმ გარემოებას, რომ არჩეული ხალხი, როგორი საარჩევნო წესიც უნდა შემოვიღოთ, მაინც ვერ იქნება უნაკლულო გამომხატველი ხალხის ნამდვილი ნება-სურვილის.

არჩეული ყოველთვის განირჩევა ამრჩეველთაგან. წინდაწინ გათვალისწინება ყოველივე საკითხის, რომელიც ცხოვრებაში წარმოდგება, შეუძლებელია. ცხადია შეუძლებელია არჩეული პირისთვის წინდაწინვე თავის აზრის დაბარება. ამ ნაკლის ავსებს პარტიათა არსებობა. პარტიას აქვს განსაზღვრული პროგრამა და მისი წევრნი ამ პროგრამის მიხედვით მოქმედებენ. მათ თვით პარტია უწევს კონტროლს და ხელმძღვანელობს. ამ მხრით ყოველთვის უმჯობესია არჩევა პარტიულ კაცის, ვინემ უპარტიოსი, რომელიც სხვის წინაშე პასუხისმგებელი არ არის.

მარა მარტო ეს არ კმარა. და ხალხს საშვა-

ლება უნდა ექნეს თავის არჩეულ დეპუტატებს თვალყური ადევნოს და საჭიროების დროს პასუხი მოსთხოვოს. ამით ის მას ნებას არ მისცემს დავალებულ გზიდან გადაუხვიოს და ხალხის ინტერესებს ულალატოს.

საჭიროა პირდაპირი კანტროლი ამრჩევლების არჩეულებზე.

თუ დეპუტატების ხელშეუხებლობა დაირღვა, იგი კანონმდებელ ძალათ არ გამოდგება, მაშინ მისი ბედი გამომძიებელის და პროკურორის ხელში იქნება. ამით შეეძლებათ ხალხის არჩეულთ ბრალი დასდონ, დაატუსაღონ და ასე ხალხის საქმეს ზიანი მოუტანონ.

ამიტომ დეპუტატების ხელშეუხებლობის პრინციპი სავსებით დაცული უნდა იქნეს. დეპუტატის სამართალში მიცემა შეუძლია მხოლოდ თვითონ პარლამენტს. რა გზით შეიძლება ამიხ განხორციელება?

ხალხს კი კანტროლის გასაწევათ სხვა საშვალება უნდა მიეცეს. ერთი ასეთი საშვალებათაგანია მოკლე ვადიანი პარლამენტი. ყოველ ორ წელში პარლამენტი უნდა ხელ ახლა აირჩეს. აქ დეპუტატი წარსდგება თავის არჩეულების წინაშე და თავის მოქმედებაში პასუხს აგებს. თუ ხალხის სასარგებლოთ არ უმოქმედნია—მას, ცხადია, ხელახლათ აღარ აირჩევენ. თუ პარლამენტი დიდი ხნის ვადით, მაგ. 4—5 წლით იქნა არჩეული, დეპუტატს შეუძლია, თუ სვინიდისს გადაუდგა, ხალხს დიდი ზიანი მიაყენოს.

ამიტომ ჩვენ გვინდა პარლამენტი ორი წლის ვადით არჩეული. ნაკლებ ვადით არჩევა რომ შემოვიღოთ, მაგ. ყოველწლიური, იმ შემთხვევაში უმეტესი დრო საარჩევნო აგიტაციას და კენჭის ყრას მოუნდება, საკანონმდებლოთ კი ნაკლები დრო დარჩება. ხალხისთვის არც ესაა გამოსადეგი.

შემდეგ პარლამენტი უნდა იქნეს **ერთათ ერთი** საკანონმდებლო დაწესებულება, რომლის გადაწყვეტილებას არავითარი დამტკიცება არ ესაჭიროება. ხოლო მისი დადგენილებები სისრულეში მოყავს სამინისტროს, რომელიც მის წინაშე პასუხისმგებელია. ამავე სამინისტროს ევალება კანონპროექტების შემუშავება და დასამტკიცებლათ პარლამენტისათვის წარდგენა. ამ რიგათ პარლამენტი უზენაესი ძალა-უფლებით აღჭურვილი დაწესებულებაა, რომელიც მთელი ხალხის და სახელმწიფოს სახელით მოქმედებს და ლაპარაკობს.

მის ხელშია ყველა მიმდინარე საქმეების გადაწყვეტა.

ზოგიერთ საბედისწერო და უმნიშვნელოვანეს კითხვების გადასაჭრელათ, როგორც, მაგ., ომის გამოცხადებაა, აუცილებელია **ამასთანავე** მიღებულ იქნას ხალხისათვის პირდაპირი შეკითხვა, ე ი. რეფერენდუმი

რეფერენდუმი იმაში მდგომარეობს, რომ დასმულ კითხვაზე ყველა სრულწლოვანი მოქალაქე აძლევს თავის პასუხს. მაგ. ავიღოთ ომი. ისმება კითხვა: გამოეცხადოს თუ არა ომი გერმანიას? თვი-

თეული მოქალაქე ამაზე უპასუხებს ან „ჰო“-ს, ან „არა“-ს. სხვაგვარი პასუხი შეუძლებელია. შემდეგ ხმებს დათვლიან და რასაც უმეტესი ნაწილი გადაჭრის, ცხოვრებაში ის იქნება გატარებული. შვეიცარიაში, რომელიც პატარა რესპუბლიკაა, ასეთი უფლება აქვს ხალხს და იგი საკმაოთ ხშირათაც სარგებლობს ამ უფლებით, თუ მცხოვრებთა 30,000 მოისურვებს ნაციონალური საბჭო ვალდებულია ყოველი კითხვა ხალხს გადასცეს პირდაპირი კენჭის ყრით, რეფერენდუმით გადასაწყვეტათ.

რუსეთი მეტათ დიდი და მრავალრიცხოვანია, მარა უმთავრეს კითხვებში ასეთი უფლების განხორციელება აქაც შეიძლება. ამიტომ კონსტიტუციაში ეს უფლებაც უნდა იქნეს აღიარებული

კანონმდებლობის ხალხის სურვილის თანახმათ წასაყვანათ, საჭიროა აგრეთვე ხალხს ექნეს ინიციატივის, ე. ი. თაოსნობის უფლება. ინიციატივა გამოიხატება შემდეგში: ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონპროექტი შეიმუშავოს ამა თუ იმ საკითხზე და თუ მას ვთქვათ 100,000 კაცი ან რამდენიც იქნება დადგენილი ხელს მოუწერს, პარლამენტი ვალდებული იქნება ეს კანონპროექტი განიხილოს და მაზე თავისი პასუხი გამოსთქვას.

თუ მცხოვრებთა განსაზღრული ნაწილი, ვთქვათ 200 ან 300 ათასი კაცი მოითხოვს, კანონპროექტი შეიძლება ხალხს გადაეცეს რეფემენდუმის საშვალებით გადასაწყვეტათ... მხოლოდ ასეთ პირობების შემოღებით შეიძლება სახელმწიფო წყობილებას ნამ-

დვილი დემოკრატიული ხასიათი მიეცეს და ხალხის ინტერესები დაცულ იქნეს...

VII

ადგილობრივი პარლამენტები.

რუსეთი დიდი და ვრცელი ქვეყანაა. მას დედამიწის მეექვსედი ნაწილი უჭირავს. ამ უსაზღვრო სივრცეზე მრავალი ერი და ტომი ცხოვრობს, თვითეულ მათგანს აქვს თავის ისტორია, ხასიათ-ზნეჩვეულება, კულტურა, ენა და სხვ. ამას გარდა სხვა და სხვა კუთხეები ამ ვეებერთელა ქვეყნისა დიდათ განირჩევიან ერთი მეორისაგან ადგილობრივ ეკონომიურ ცხოვრების პირობებით და მდგომარეობით: ციმბირი, კავკასია, მცირე რუსეთი, შიდა—ანუ დიდი რუსეთი, ფინლიანდია, ბალტიის მხარე და სხვ. ყველა ამ განსაკუთრებული კუთხეების და აქ მცხოვრები ერების საჭიროებათა დაკმაყოფილება, მათი განსაკუთრებულ პირობებთან შეთანხმებულათ მოქმედება აუცილებლათ თხოულობს ამ ადგილებში საოლქო და ეროვნულ პარლამენტების დაარსებას, რომელიც არჩეული იქნება ყველა ადგილობრივ მცხოვრებთაგან განურჩევლათ სქესისა და ეროვნებისა თანასწორი, ფარული და პირდაპირი ხმის მიცემით და პროპორციონალური წარმომადგენლობით.

ამ პარლამენტების მოვალეობა იქნება ადგილობრივი საჭიროებათა მოწესრიგება. ხოლო მის კომპეტენციას ე. ი უფლებებს დაწვრილებით გან-

საზღვრავს სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება. რუსეთის ძირითად კანონებში ე. ი. კონსტიტუციაში ამ ადგილობრივ პარლამენტების ფარგლები, მათი სამოქმედო ასპარეზი ყველგან ერთგვარი არ იქნება, ამიტომ მისი წინასწარ განსაზღვრა ყველასათვის შეუძლებელია... უნდა ავღნიშნოთ მხოლოდ, რომ ამ პარლამენტებს დაეკვალება ეროვნულ კულტურის, ენის დაცვა და ადგილობრივ წარმოების განვითარებისთვის ხელის შეწყობა და სხვ. მას უნდა ეყოლოს თავის ამასრულებელი ორგანო, რომელიც ადგილობრივ პარლამენტის ყველა დადგენილებებს ცხოვრებაში გაატარებს. მას დაეკვალება აგრეთვე ცენტრალური მთავრობის ყველა დადგენილებათა სისრულეში მოყვანა, რისვისაც მის განკარგულებაში იქნება ადგილობრივი ადმინისტრაცია და მოხელეები.

ამნაირათ ადგილობრივი პარლამენტი ასე ვთქვათ ცენტრალურ სრულიად რუსეთის პარლამენტის ადგილობრივი განყოფილებაა, მისი დამხმარე, მისი საქმის ადგილობრივ გამგრძელებელი. ყველა ძირითადი და პირობითი კითხვები სახელმწიფოს მთლიანობის, მის ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარების, კანონმდებლობა სოციალური და ადმინისტრატიული, დაწესება სამოქალაქო და სისხლის სამართლისა, საკაჭრო კანონების უცხო სახელმწიფოებთან კავშირის დაჭერა, საზღვრების დაცვა და სხვ. დაეკვალება სრულიად რუსეთის პარლამენტს და მის სამინისტროს.

ამნაირათ კანონმდებელი დაწესებულება, მართვა-გამგეობის უზენაესი უფლებით აღჭურვილი—ეს პარლამენტია, ე. ი. ხალხის არჩეული დეპუტატების კრებული. საერთო სახელმწიფო საქმეებს განაგებს სრულიად რუსეთის პარლამენტი, ადგილობრივ საქმეებს—კი ადგილობრივი. პირველს ირჩევს მთელი რუსეთის ყველა სრულწლოვანი მცხოვრები. მეორეს კი - ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელთაც ის განსაკუთრებით ეემსახურება.

VIII.

ამასრულებელი ძალა, მეფე და პრეზიდენტი. შეხედულებანი ამ ორივეს სამინისტრო.

გადავიდეთ ახლა ამასრულებელ ძალთა ორგანიციის საკითხზე. ყოველ დადგენილებას, კანონს, შესაფერი ამასრულებელი ესაჭიროება. ძველ რუსეთშიაც ზოგიერთი, განსაკუთრებით სამოქალაქო კანონი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის თანახმათ იყო შემუშავებული, მარა მისი ასრულება მეფისგან დაყენებულ ბიუროკრატებს ევალებოდა და ეს უკანასკნელნი კი მხოლოდ მის გადაუკულმართებას ემსახურებოდენ, წალმა დაწერილს, უკუღმა კითხულობდენ და ასე ხალხის მაგიერ მხოლოდ თავისიანთ ექომაგებოდენ. ცხადია ამასრულებელ ძალის შედგენა არც ისე უმნიშვნელო საქმეა.

თითქმის ყველა დღემდე არსებულ სახელმწიფოებში ამასრულებელი ძალა ეკუთვნის: 1) მეფეს

ან პრეზიდენტს, 2) სამინისტროს და 3) ადგილობრივ დაწესებულებებს.

როგორია ჩვენი შეხედულება ამ დაწესებულებებზე?

პირველი და უმთავრესია, რასაკვირველია, უმაღლესი ამასრულებელი ძალა. ეს კარგათ ესმით გაბატონებულ კლასებს და უპასუხისმგებლო მეფეთა დამქაშებს.

მონარქიულ წყობილებაში უზენაესი ამასრულებელი ძალა ეკუთვნის მეფეს, კაროლს; ამ რიგათ იგი კანონმდებლობაში მონაწილეობის გარდა, ასრულების ხელმძღვანელობასაც კისრულობს და ამით თავის საკუთარ ძალას და მნიშვნელობას აორკეცებს.

სახელმწიფო ორგანიზაცია იძულებითი პრინციპზეა აშენებული. იგი თავის დადგენილებებს ცხოვრებაში ძალით ატარებს, თუ ნებით ვერ განახორციელა. ამაშია მისი განსხვავება სხვა თავისუფალ ორგანიზაციებისაგან, მაგ., პარტიების, კავშირების და სხვათაგან. ძალით რაიმეს გატარება კი თხოულობს, რომ სახელმწიფოს ხელში იყოს ჯარი, მას მორჩილებდეს ადმინისტრაცია, პოლიცია და სხვ.

და რაკი ამასრულებელი ძალა მეფის ხელშია, ეს ძალადობის ორგანიზაციებიც მას ექვემდებარება. იგი ნიშნავს მინისტრებს, მოხელეებს, მოსამართლეებს, ჯარის უფროსებს და სხვ. ეს მას საშვალებას აძლევს

ხალხის ინტერესებს ყურადღება ნაკლებათ მიაქციოს და მას თავის ნება-სურვილი თავზე მოახვიოს.

ინგლისის ხალხი, როგორც წინეთ მოვიხსენიეთ, 7 საუკუნე ებრძოდა თავის მირონცხებულს, რომ უკანასკნელისთვის ეს უფლებები ჩამოერთმია და მისთვის მხოლოდ მეფის წოდება დაეტოვებია. ამიტომ ინგლისში ასეთი თქმულებაა: „მეფე—მეფობს, პარლამენტი განაგებს“.

რესპუბლიკანურ წყობილებაში ამასრულებელი ძალა პრეზიდენტის განკარგულებაშია და ეს მასაც ისეთივე უფლებით მოსავს, როგორც მეფეს მონარქიაში. ეს ერთი მთავარი მიზეზია იმის, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ როგორც მეფის, ისე პრეზიდენტისაც.

ხალხის ინტერესები თითქმის თანაბრათ დაიჩაგრება როგორც ერთის, ისე მეორის ხელში.

მეფე-პრეზიდენტებს შემდეგ ამასრულებელი ძალა ეკუთვნის მინისტრებს.

თუ სახალხო წარმომადგენლობა, ე. ი. პარლამენტი, რაიმე უფლებით არ არის აღჭურვილი რომ მათი დამორჩილება და თავის ნებაზე წაყვანა შეეძლოს, ამასრულებელი ძალა ყოველთვის ხალხის წინააღმდეგ თვითმპყრობელურათ მიმართულ იქნება.

თუ მაგ., მეფე ნიშნავს მინისტრებს და უკანასკნელნი მის წინაშე არიან პასუხის მგებელნი და არა ხალხის წარმომადგენლების წინაშე, ეჭვი არაა, უკანასკნელნი თავის მოქმედებაში დამოკიდებულნი

იქნებიან მის ნება სურვილზე და მხოლოდ იმ მცირედი ჯგუფის ინტერესებს ემსახურებიან, რომელნიც სასახლეს გარშემო ახვევია და რომელსაც კამარილია ეწოდება. ეს მაღალი არისტოკრატიის და მსხვილ ფინანსიურ ბობოლების უპასუხისმგებლო ბატონობაა, და მეფის ნახევრათ—თვითმპყრობელობა პოლიტიკური ფორმაა ამათი ბატონობის.

ხალხის წარმომადგენლობას ამ შემთხვევაში მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭირავს. იგი შეზღუდულია კანონმდებლობაში მეფის სურვილით, და სრულიად უძლურია დაკანონებულის ასრულებაში. ყოველი მოხელე ამიტომ თავს ხალხის ბატონათ გრძნობს და მის ზურგზე მალაყს გადადის.

მარა მარტო მონარქიებშიც არ ვხვდებით უპასუხისმგებლო მინისტრებს, რესპუბლიკანური წყობილებაც ზოგიერთგან არ უშლის ხელს ასეთ წესების არსებობას. მაგ., ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ პრეზიდენტი თვითონ ნიშნავს მინისტრებს, რომელიც მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი... ცხადია ასეთ პირობებში რესპუბლიკა არაფრით ჩამოუვარდება მონარქიას. ორივე ბიუროკრატიულია და მოხელეთა ზნეობრივ გახრწნილების ბუდეთ არის გადაქცეული. ამერიკის მოხელეთა გათახსირება ამ მხრით რუსეთის ძველი რეჟიმის მსახურთ არ ჩამოუვარდება. ერთგვარი მიზეზები ქმნის ერთგვარ შედეგებს.

IX

პარლამენტარიზმი.

ბურჟუაზიულმა აზროვნებამ ბოროტების წინააღმდეგ მხოლოდ ერთი საშვალება იცის.—ესაა პასუხისმგებელი სამინისტროს სისტემა, ანუ პარლამენტარიზმი

რაში მდგომარეობს ეს სისტემა?

სამინისტროს ნიშნავს მეფე, ან პრეზიდენტი, მარა იგი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. ასეთი სამინისტრო მანამდი ასრულებს თავის მოვალეობას, სანამ მას პარლამენტის უმრავლესობა მხარს უჭერს ღა ნდობას უცხადებს. თუ ეს ნდობა დაკარგა, უნდა სამსახურიდან გადადგეს. ამნაირათ, მეფის ან პრეზიდენტის არჩევანი შეზღუდულია. იგი იძულებულია სამინისტრო ისეთ პირთაგან შეადგინოს, რომელნიც პარლამენტში უმრავლესობის თანაგრძნობას მოიპოებენ. ჩვეულებრივათ ასეთ შემთხვევაში ნიშნავენ ერთ პირს—პრემიერს, რომელიც შემდეგ თვით ირჩევს დანარჩენ ამხანაგებს და ადგენს კაბინეტს.

ამნაირათ, პარლამენტს საშვალება ეძლევა სამინისტრო რამდენიმეთ მაინც მორჩილებაში იყოლიოს და თავის ნება ასრულებიოს.

ასეთ წყობილებას, ეწოდება პარლამენტარიზმი, ე. ი. პარლამენტის მეთაურობა.

ასეთი წესი არსებობს მაგ., საფრანგეთში და ზოგიერთ პატარა მონარქიულ სახელმწიფოებში.

ცხადია პარლამენტარიზმი ბევრათ უმჯობესია უპასუხისმგებლო სამინისტროს სისტემაზე, სადაც სამინისტრო დეპუტატების უნდობლობას ხშირათ ბუზათაც არ იმჩნევს და მაინც თავისას განაგრძობს.

მარა პასუხისმგელელი სამინისტროც ვერ არის სრულიად უნაკლულო და დემოკრატიის შესაფერი.

პირველი ის, რომ იგი უეშველათ გულისხმობს მეფეს ან პრეზიდენტს, ე. ი. უსარგებლო და მავნე თანამდებობას.

მეორეც ის, რომ ამ შემთხვევაში პარლამენტი იმორჩილებს მინისტრებს არაპირდაპირი გზით, უნდობლობის გამოცხადებით, კანონპროექტის უარყოფით და სხვ. ერთი სიტყვით, საკანონმდებლო მუშაობის შეფერხებით. შემდეგ მინისტრების გადაყენებისა—იგი უმწეოთ დგას და უცდის ახლების დანიშვნას, რომ იგიც უარყოს, თუ არ მოეწონება. ჯგუფურ და პირადულ პოლიტიკას, ამა თუ იმ მინისტრის სახელის გატეხას და ასე მთელი კაბინეტის დაცემას და სხვ. ამ სისტემის დროს ნოყიერი ნიადაგი ეძლევა.

ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეთ ეს სპეციალურ ხელობათ აქვთ გადაქცეული, მაგ. საფრანგეთში კლემანსო ცნობილია, როგორც მინისტრების ჩამომგდები. ამას გარდა სამინისტროს ყოველთვის აქვს საშვალება პარლამენტს უნდობლობის გამოცხადება არ დააცალოს. ამისათვის მოითხოვს პრე-

ზიდენტისა ან მეფისაგან პარლამენტის დათხოვნას და ხელახალ არჩევნების დანიშნავს, რომლის დრო საც სახელმწიფო მოხელეების საშვალებით ცდილობს ხალხს ძალა დაატანოს და თავის მომხრე დეპუტატები აარჩევიოს.

ამნაირათ აქ სამინისტრო სავსებით პარლამენტზე დამორჩილებული არაა. იგი ბევრ რამეში სრულ დამოუკიდებლობასაც იჩენს და ხშირათ თვით ხალხის წარმომადგენლებს იმორჩილებს.

საერთაშორისო დიპლომატიურ მიწერ-მოწერას, ფარულ ხელშეკრულებებს, იგი პარლამენტის დაუკითხავათ აწარმოებს და სხვ. ერთი სიტყვით, მას ბევრი საშვალება აქვს ხალხის წარმომადგენლებთან საბრძოლველათ და ხალხის ინტერესების წინააღმდეგ სამოქმედოთ.

და ეს იმიტომ რომ სისტემა სამინისტროს **დანიშვნის** აქაც დაცულია და პარლამენტს მხოლოდ **არაპირდაპირი** გავლენა აქვს მის შემადგენლობაზე. მას შორიდან მოვლა სჭირდება სამინისტროს დასამორჩილებლათ. ეს მაღალკლასებს საშვალებას აძლევს მართვა-გამგეობაზე თავის გავლენა გააძლიეროს და ხალხის, ფართო მასის,- ინტერესები დაჩაგრონ, ხალხის არჩევნების ძალა გააბათილონ.

ამიტომ პარლამენტარიზმი ბურჟუაზიის მოთხოვნილებაა, მისი ბატონობის პოლიტიკური ფორმაა.

ლიბერალები, პროგრესისტები და სხვ. ბურჟუაზიული პარტიები ამით სავსებით კმაყოფილდებიან.

მარა დემოკრატიის ინტერესებისთვის ეს საკ-მარისი არ არის.

XI.

არჩეული სამინისტრო და დემოკრატია.

ჩვენ ვართ მომხრე ხალხის და მისი არჩეული პარლამენტის სრულ უფლებიანობის. მინისტრების ზევიდან დანიშვნა კი მათ უფლებებს ზღუდავს და ამცირებს. იგი ხალხს ართმევს თავის ხელუხლებელ უფლებას, თავის საქმის წაყვანაზე პირდაპირი გავლენა იქონიოს.

ამიტომ ჩვენ უარვყოფთ მინისტრთა **დანიშვნის სისტემას,** სულ ერთია, პასუხისმგებელი იქნება იგი, თუ უპასუხისმგებლო.

სოციალდემოკრატია, როგორც დამცველი ხალხის ინტერესების, აყენებს სულ სხვა პრინციპს. ესაა **პრინციპი** მინისტრთა **არჩევის.**

ჩვენ გვინდა სამინისტრო თვითონ პარლამენტისაგან არჩეული და მის წინაშე პასუხისმგებელი...

როგორც საკანონმდებლო, ისე ამასრულებელი ძალის უზენაესი მატარებელი ასეთ პირობებში თვით პარლამენტია და იმის საშვალებით მთელი ხალხი.

პარლამენტის ხელშია საკითხი ომის და ზავის, იგი აწარმოებს საგარეო პოლიტიკას, მას ექვემდებარება შეიარაღებული ძალა და სარდლები, რო-

შელთაც მის ნებადაურთველათ ვერვინ გამოიწვევს*) იგი ნიშნავს მოხელეებს, ერთი სიტყვით. ასრულებს იმას, რასაც მონარქიაში მეფე აკეთებდა. იგი აძლევს აგრეთვე შესაფერ დირექტოვებს თავის არჩეულ მინისტრებს, ისმენს მათგან ხანგამოშვებით, სისტემატიურათ, მაგ , ყოველ 6 თვეში ერთხელ, მოხსენებებს მართვა-გამგეობის შესახებ შეაქვს საჭირო შესწორებები მათ შუშაობაში და სხვ.

მცირედ უთანხმოების დროს ასეთ არჩეულ პირების გადაყენებას საჭიროება სულაც არ მოითხოვს. საკმარისია სამინისტრომ დირექტივები ყურადიღოს და შემდეგ სისრულეში მოიყვანას. შეეცადოს გამოცვლა მათი აუცილებელი შეიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრინციპიალური წინააღმდეგობა აღმოჩნდა პარლამენტებსა და სამინისტროს შორის.

ამრიგათ კანონმდებლობა და საერთოთ მართვა-გამგეობაც ნორმალურათ და ხელშეუშლელათ ივლის. სამინისტროსაც უფრო მტკიცე ნიადაგი ექნება. ასეთი სამინისტრო უფრო ამასრულებელი

---

*] მაგ. შვეიცარიაში სამინისტროს შეუძლია, თუ ნაციონალური საბჭო [პარლამენტი] არ მუშაობს და ამ დროს საჭიროებამ მოითხოვა, თავის განკარგულებით გამოიწვიოს 2000 მდე ჯარის კაცი და ისიც მხოლოდ ორი კვირის ვადით. თუ მეტი სალდათი სჭირია, ან მეტი ვადით, უნდა დაუყოვნებლივ პარლამენტი მოიწვიოს და ნებართვა ითხოვოს.

კომისია, ვინემ ევროპიული სახელმწიფოთა სამინისტრო.

დასკვნა: ცენტრალური მთავრობა შესდგება პარლამენტისაგან, ე. ი. ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატთა კრებულისაგან, რომელიც თავის მხრივ ირჩევს ამასრულებელ ორგანოს—სამინისტროს. ერთი მინისტრთაგანი თავმჯდომარეთ ითვლება, მარა მას არავითარი უპირატესობა არ აქვს, გარდა თავმჯდომარეობისა.

ცხადია ასეთ სამინისტროს გამოცვლა ყოველთვის შეიძლება. მარა კიდეც რომ არ გადააყენონ, მისი არსებობის ვადა თვით პარლამენტის არსების ვადას, ე. ი. 2 წელიწადს ვერ გადასცილდება. ორი წლის შემდეგ ახალი პარლამენტი შესდგება და იგი თავის სამინისტროს აირჩევს.

შვეიცარიაში, სადაც ასეთი სისტემაა განხორციელებული, არსებობს კიდევ ერთი საყურადღებო წესი. თავმჯდომარე ირჩევა მხოლოდ ერთი წლის ვადით. მეორე წელიწადს ამავე პირის არჩევა თავმჯდომარეთ აღკრძალულია. მიზეზი ამის ცხადია. ერთი და იგივე პირის არჩევა ყოველწლიურათ ადვილათ შეაჩვევდა თავმჯდომარეს პრეზიდენტის უფლებისკენ ხელის წაპოტანებას, ე. ი. ძალა უფლების ხელში ჩაგდებას.

ამიტომ შვეიცარიის წესი ამ შემთხვევაში საესებით სწორი და დემოკრატიულია.

ასეთია მოკლეთ ცენტრალური ამასრულებელი ძალის ორგანიზაცია დემოკრატიული წყობილებაში.

XII.

ადგილობრივი თვითმართველობა.

ვინ უნდა იყოს ცენტრალური მთავრობის განკარგულებათა ამასრულებელი ადგილობრივ?

ეს კითხვა არც ისე უბრალო და უმნიშვნელოა. მინისტრები შორსაა, ადგილობრივ ხალხთან კი პირდაპირი დამოკიდებულება იმათ აქვთ, ვინც ამათ ბრძანებას და მოწერილობას ასრულებს. ძველი რეჟიმის დროს ასეთები იყვენ გუბერნატორები, მაზრის უფროსები, ბოქაულები და სხვ. მსხვილი და წვრილი მოხელეები, მაღლიდან, მთავრობიდან, დანიშნული და მათზე დამოკიდებულნი. ამიტომ ისინი უფროსთა წინაშე წელში ოთხათ იკვაკებიან, თავის ხელქვეითნი კი ცის რისხვათ ევლინებოდენ. ხალხზე ხომ ძველ ფეოდალივით ბატონობდენ და მას თვის საწველ ფურათ იხდიდენ.

ცხადია ახალწყობილებაში ასეთი წესები ვერ დარჩება. ხალხი ერთათ ერთი ბატონ-პატრონია საბელმწიფოსი, იგია უმაღლესი მბრძანებელი და მსაჯული. და ის უნდა იყოს ბატონ-პატრონი ადგილობრივ ამასრულებელ ორგანოებშიაც.

როგორ შეიძლება ეს?

იმავე საშვალებით, რომლის მეოხებითაც ცენტრალური მთავრობა—ხალხზე დამოკიდებული, ე. ი. არჩევნებით.

ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, რომ ადგილობრივი

დაწესებულებები, გუბერნიის, მაზრის, საბოქაულოსი და სხვ., რომელნიც მართვა-გამგეობის ორგანოებათ ითვლებიან, და მთავრობის განკარგულებით ცხოვრებაში გატარება აქვთ დაკისრებული, ხალხისგან არჩეული და მისი ნდომით აღჭურვილი იყოს, ისე როგორც ტენტრალური დაწესებულებები.

თვითმპყრობილობის დროს ადგილობრივ მრავალი ერთი მეორის მოქიშპე და განკერძოვებული ორგანოები იყო, სადაც ხალხის ცხოვრებაში დიდი არევ-დარევა შექონდა. დღეს ასეთი წესი უნდა უარყოფილ იქნეს. ჩვენის აზრით, ადგილობრივ სრულიად საკმარისია **ერთი** დაწესებულების არსებობა, თვითმართველობის ქალაქებში და ერობის სოფლებში, რომელნიც საყოველთაო თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით იქნება არჩეული.

თავის მოქმედების ფარგლებში ამ ორგანოების მდგომარეობა ისეთივე **დამოუკიდებელი უნდა იყოს** როგორც ცენტრალურ მთავრობის. **მისი მთავარი კანტროლი და გამსწორებელი მხოლოდ ხალხია, კანონი და სამართალი.** სხვა ძალას უფლება არა აქვს მის მუშაობაში ხელი აფათუროს.

ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისთვის და საზოგადოთ მცხოვრებთა ღარიბი ნაწილისათვის.

ცენტრალურ მთავრობაში, რომელიც მთელი რუსეთის წარმომადგენელია, ეჭვი არაა, გაბატონებული ბურჟუაზიული კლასი იქნება.

ადგილობრივ თვითმართველობებში კი ყველგან არა. იქ, სადაც მუშათა ცენტრია, ე. ი. ქარხანა-ფაბრიკები მუშაობს, იქ სადაც დემოკრატია შეგნებულათ ეწევა თავის მუშაობას ასეთი თვითმართველობები ამ დემოკრატიის ხელში ჩავარდება, წარმოამადგენლების უმრავლესობა მათი იქნება. მთავრობის ზეგავლენას შეუძლია მათ დემოკრატიულ მოღვაწეობას და დადგენილებებს ფრთა შეაკვეცოს, აკრძალვა დაადვას და ასე მოწინავე დემოკრატია ჩამორჩენილ ნაწილებს გაუთანასწოროს, რაც ხალხისათვის საზარალოა. ამიტომ ჩვენ ასეთ ზეგავლენის წინააღმდეგი ვართ. ცენტრალური მთავრობა თავის მოვალეობებს ასრულებს, ადგილობრივი თავისას. მათი ფუნქციები (საკეთებელი საქმეები) და მოვალეობები კანონით განსაზღვრულია. თუ თვითმართველობა კანონს გადავა—ამის გამსწორებელია თვით კანონი და სამართალი. მაღალ ადმინისტრაციის კი ასეთ როლს ვერ მივანიჭებთ, მას ზედამხედველობის უფლებას ვერ მივცემთ.

თვითმართველობა თავის ფარგლებში ნამდვილი სახელმწიფოა სახელმწიფოში.

მას ევალება ერთი მხრით მოკრება გადასახადების, შენახვა და ხელმძღვანელობა პოლიციის, დაცვა წესიერების და მშვიდობიანობის, მეორე მხრით მისი ვალია ზრუნვა ადგილობრივ კულტურულ და ეკონომიურ საჭიროებაზე, როგორიცაა შკოლა სახალხო, საშვალო და უმაღლესი სახალხო სწავლა-განათლება, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების

გახსნა, ხალხის ჯანმთელობაზე ზრუნვა, მეურნეობის განვითარებისთვის ხელის შეწყობა, ჭაობების გაშრობა, სარწყავ არხების გაყვანა, მთების და ხიდების გაკეთება, საცდელ მინდვრების დაარსება, მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, მისი მოქმედება ადგილობრივ ისეთივეა, როგორც მოქმედება ცენტრალურ მთავრობის სახელმწიფოში.

მას თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ აწერს გადასახადს მცხოვრებთ, რომელნიც მის განკარგულებაში გადადის.

ცხადია ადგილობრივი მცხოვრებლები განსაკუთრებით მუშა და ღარიბ-გლეხობა დაინტერესებულია ამ დაწესებულების თავის ხელში ჩაგდებასა და ადგილობრივ კულტურულ ეკონომიურ საქმეების თავის მოთხოვნილებათა მიხედვით წამართვაში.

ამიტომ იგი ყველაზე უფრო მედგარი დამცველია სოციალდემოკრატის მოთხოვნილების, რომ ადგილობრივი თვითმართველობა დამოუკიდებელი იყოს.

ასეთ პირობებში ყველა მოხელეები თვით ხალხზე იქნებიან დამოკიდებული და მაზე ბატონობის მაგიერ მის ნამდვილ მსახურათ გადაიქცევიან.

აი ამ გზით განხორციელდება მთელ **სახელმწიფოში ხალხის თვითმპყრობელობა.**

XIII.

სასამართლო.

დაგვრჩა კიდევ ერთი დარგი სახელმწიფო ძალა-უფლების. ესაა სასამართლო.

„ქმნა მართლისა ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლათა“, ასეთია ბრძნული თქმულება. ჩვენი ძველ სასამართლოებს კი ასეთ სასწაულ მოქმედებას ვერ დავწამებთ. ისინი უფრო საღი და უდანაშაულო ადამიანის ცხოვრებაში ჩამოხმობას ემსახურებოდენ.

ამ სფეროშიაც, ამიტომ უნდა ძირითადი ცვლილებები მოხდეს. სასამართლოს მთავარი მიზანი არსებულ კანონიერების დაცვაა, რისთვისაც ის მის დამრღვეველთ სჯის და ასე სამართალს აღადგენს. მისი სიმართლე—ეს კანონის სიმართლეა. თუ კანონი მრუდეა მისი განაჩენიც სწორი ვერ იქნება. მარა შეიძლება კანონი რიგიანი იყოს, განაჩენი კი ურიგო, თუ სასამართლოს ორგანიზაცია უვარგისია, თუ იგი გარეშე გავლენას და კარნახს ემორჩილება.

კანონის გამოცემა—პოლიტიკური პარტიათა ბრძოლის შედეგია სასამართლო კი ასეთ ბრძოლის გარეშე უნდა იდგეს, იგი ასე ვთქვათ, ობიექტიურ მიუდგომელი მსაჯავრის დამდებია იმ ფარგლებ შიგნით, რაც პოლიტიკურ ბრძოლის შედეგმა დააკანონა. მიკერძებას ცალმხრიობას სასამართლოში ადგილი არ უნდა დაურჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პოლიტიკურ პარტიათა და ჯგუფთა იარაღათ

გადაიქცევა და საერთო ნდობას ვერ დაიმსახურებს. ასეთი იყო ძველი სასამართლო, რომელიც ყველაფერში მთავრობის განკარგულებებს ემორჩილებოდა და მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ სდევნიდა. ვინ არ იცის, რომ ხშირათ მოასმართლენი უკვე დაწერილის განაჩენით მიდიოდენ სასამართლოში და საქმის გარჩევა მხოლოდ ხალხის თვალის ასახვევათ ხდებოდა

რა გასაკვირველია, რომ ასეთ სასამართლოს საზოგადოება მტრულათ უცქერიდა და ყოველთვის ბრალდებულის მისი კლანჭებიდან განთავისუფლებას ცდილობდა. ამრიგათ წარმოებდა ბრძოლა საზოგადოებისა სასამართლოების წინააღმდეგ, რასაც ორივე მხრივ სასამართლო იდეის დამცირება მოჰქონდა შედეგათ: მოსამართლე მოწმეს არ ენდობოდა და მოწმე მოსამართლეს.

და აი ასეთ გახრწნას სასამართლოსი და სამართლის გრძნობისა საზოგადოებაში ამიერიდან უნდა ბოლო მოეღოს.

მართალია კლასობრივ სახელმწიფოში, სრული განთავისუფლება სასამართლოსი კლასთა ბრძოლის გავლენისაგან შეუძლებელია. გაბატონებული კლასები ყოველთვის მოახერხებენ მას თავისი აზრი შეხედულებები მოახვიონ. მით უმეტეს, რომ თვით მოსამართლენი იმავე ბურჟუაზ საზოგადოების შვილი არიან, ბურჟუაზ. მეცნიერებით აღჭურვილნი. მარა ყოველ შემთხვევაში უნდა ვეცადოთ, იგი, რამდენათაც კი შეიძლება, თავისუფალი და მიუდგომელი გავხადოთ.

პირველათ, ყოვლისა ის უნდა თავისუფალი იყოს მთავრობის გავლენისაგან. ამ მიზნით ჩვენ ვთხოულთბთ **დამოუკიდებელ სასამართლოს.** რომ მოსამართლეს სვინდისზე მთავრობას ძალდატანების საშვალება წაერთვას, მას უფლება არ უნდა მიეცეს მოსამართლის დანიშვნა-გადაყენებისა.

პირიქით საჭიროა მოსამართლე მაზე დამოუკიდებელი იყოს და ხალხთან დაახლოვებული, მისი მისწრაფებების მცოდნე, და გამომხატველი ამიტომ იგი უნდა იქნეს არჩეული და ხელშეუხებელი, მხოლოდ ბოროტმოქმედების ჩადენისთვის თვით სასამართლოს შეუძლია იგი პასუხისგებაში მისცეს და სამსახურიდან გადააყენოს.

სამართალი ერთია, ამიტომ მოსამართლეც ერთი უნდა იყოს ყველა წოდების და კლასისათვის. სასამართლო წოდებრივი (გლეხთა სასამართლო) და განსაკუთრებული უნდა გაუქმებულ იქნეს.

კანონი მშრალი და განყენებულია, ცხოვრება კი კონკრეტული და მრავალფეროვანი. მსაჯული უნდა კანონების მცოდნე იყოს, ე. ი. სპეციალისტი თავის საქმეში, ისე, როგორც ექიმი, ინჟინერი და სხვა თავის ხელობაში. მარა სპეციალისტები შეიძლება არ იყოს დაახლოვებული მცოდნე ადგილობრივ ცხოვრების, ზნე-ჩვეულების, სულიერი განწყობილების. სასამართლოსთვის კი, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეში ამ უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ადამიანს ვსჯით მისი ბოროტებისთვის, ე. ი.

საზოგადოებისთვის ვნების მოტანისთვის. მარა ბოროტმოქმედება. შეიძლება იყოს ან შემთხვევითი, ან ზნე-ჩვეულებით, ან ადამიანის ბოროტი თვისებებით გამოწვეული: თვითეულ შემთხვევაში სიმართლე მოითხოვს დამნაშავეს სხვა და სხვანაირათ მოვექცეთ. კანონი კი ასეთ გარჩევას არ აძლევს. საზოგადოების მიზანია ბოროტი გაასწოროს, გაუსწორებელი კი თავიდან მოიშოროს. კანონს სხვა საზომი აქვს. თვითეულ ბოროტმოქმედებას თავის განსაკუთრებული სასჯელი მიუჩინოს. ამით იგი ცხოვრების მრავალფეროვანებას ვერ ფარავს. და ამ მხრით შესწორებას საჭიროებს.

ასეთ შესწორებას მივაღწევთ **ნაფიც მსაჯულთა** შემოღებით. ეს უკანასკნელი დგება ყველა სრულწლოვან მცხოვრებთაგან, განურჩევლათ მისი განათლების და სპეციალობისა. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა საქმეში ორნაირია: დაბალ სასამართლოებში მაგ. მომრიგებელ მსაჯულთან, რომელიც მცირე საქმეებს არჩევს ორი მოქალაქე ინიშნება განაჩენის გამოტანაში მონაწილეობის მისაღებათ. გერმანიაში ასეთ სასამართლოს ეწოდება „შოფენებს“ სასამართლო. ზის ერთი მომრიგებელი მოსამართლე, იურისტი, კანონების მცოდნე, და ორი მოქალაქე, მცხოვრებთაგან არჩეული; საერთოთ ყველანი ხმის უმეტესობით წყვეტენ დამნაშავეა თუ არა ბრალდებული და რამდენათ. შემდეგ ოფიციალური მოსამართლე — შესაფერ რეზოლიუციას სწერს—ე. ი. განაჩენს ასაბუთებს.

მაღალ სასამართლოებში, სადაც მსხვილი ბოროტმოქმედებანი ერჩევა საზოგადოების მიერ თავის წრიდან არჩეული ნაფიცი მსაჯულები 12, ან მეტი, ცალკე სხედან, 3 ოფიციალური მოსამართლენი კი ცალკე. ნაფიცი მსაჯულები უსმენენ მოწმეებს, ბრალმდებელს, დამცველს და სწყვეტენ ერთს, დამნაშავეა თუ არა? და თუ დამნაშავეა, ღირსია სასჯელის შემსუბუქების, თუ არა? ამით თავდება მათი მოვალეობა; შემდეგ ოფიციალური საოლქო სასამართლო ანთავისუფლებს ან შესაფერ სასჯელს უწყვეტს ბრალდებულს ნაფიც მსაჯულთა განაჩენის თანახმათ.

ამნაირათ მოსამართლეები კანონებით ხელმძღვანელობენ. ნაფიცი მსაჯულები და შოფენები კი თავის საზოგადოებრივი ინსტიქტით, თავის სვინდისით და შეხედულობით, როგორც სვინდისი გაუჭრისთ, ისე გადაწყვეტენ. მათ შეუძლიათ დანაშაულის ჩადენა აღიარონ, მარა სასჯელისგან გაანთავისუფლონ, თუ სვინიდისით ამას საჭიროთ დაინახვენ, თუ კაცი მაგ. უბედური შემთხვევით ჩავარდნილა ბოროტებაში და სხვ. აქ უმაღლესი მსჯავრი მათ ეკუთვნით. ნაფიც მსაჯულთა დაწესებულება სვინიდისის სასამართლოა, ეს საზოგადოების ხმის მოსმენაა.

ამით ხალხს საშვალება ეძლევა ბოროტმოქმედებას ებრძოლოს, ხოლო უდანაშაულო პირი სასჯელს გადაარჩინოს, უნებლიეთი შეცთომა აპატიოს, ბოროტი ადამიანი კი მკაცრათ დასაჯოს. ერთი სიტყვით, ის „მართალი სამართალი ქმნას“, რომელიც ხმელ ხესაც კი ანედლებს.

ამიტომ **სოციალ-დემოკრატია თხოულობს შემოღებულ იქნას არჩეული დამოუკიდებელა სასამართლო და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.**

სამართალი რომ ხალხისთვის მისაწდომი და გასაგები იქნეს, იგი უნდა წარმოებდეს მცხოვრებთათვის გასაგებ ენაზე. **სამშობლო ენის შემოღება სასამართლოში** ამიტომ **ერთი მთავარი მოთხოვნილებათაგანია სოციალდემოკრატიისა.**

დაბოლოს სასამართლო უნდა იყოს სწორი და სწრაფი. საქმის გაჭიანურება და მისი დაუსრულებლათ დევნა მუშა ხალხს არ შეუძლია. დამნაშავის დიდი ხნით ბრალდების წაუყენებლათ ციხეში დამწყვდევა ეს წინდაწინვე მისი დასჯაა, ეს პიროვნების ხელშეუხებლობის სრული გაუქმებაა. ინგლისში, სადაც პიროვნების თავისუფლება განვითარებულია, ასეთი წესი არსებობს: ყოველ დატუსაღებულს უფლება აქვს მოითხოვოს 24 საათში მოსამართლეს წარუდგინონ და ბრალდება წამოუყენონ, ან გაანთავისუფლონ.

ასეთი წესი უნდა იქნეს შემოღებული ჩვენშიაც.

სასამართლოს გარეშე არავის აქვს უფლებმოქალაქის განსჯის და განაჩენის გამოტანის; ადმინისტრაციის მიერ მოქალაქის დაჭერა, ციხეში ჩასმა-გადასახლება და დაჯარიმება უნდა სავსებით გაუქმებულ იქნეს, როგორც თვითნებობა და უსამართლობა, როგორც იარაღი ხალხის დამონების და დამორჩილების.

მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება ადამიანა

ნის უდანაშაულოთ დასჯა თავიდან ავიცილოთ და სასამართლო ვაბატონებულ კლასების ხელში მუშათა კლასის საწინააღმდეგო იარაღათ არ გადავაქციოთ.

XIV

დემოკრატიული რესპუბლიკა და სოციალიზმი.

ჩვენ განვიხილეთ ბოკლეთ აგებულება დემოკრატიულ წყობილების, ე. ი. დემოკრატიულ რესპუბლიკის.

ასეთ წყობილების მთავარი მიზანი და დანიშნულებაა ერთი მხრით უზრუნველყოს ხალხის თავისუფლება, მათი პიროვნების ხელშეუხებლობა, და მეორე მხრით ხელი შეწყონ მუშათა კლასის ნივთიერ დ გონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას: ხელფასის, 8 საათის სამუშაო დღის, დაზღვევის და სხვ. კანონების შემოღებით. ყველა ამის განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის ავირჩევთ და გავაგზავნით პარლამენტში კანონების გამოსაცემათ. ამ წიგნაკში კი ჩვენ შეეცადეთ მხოლოდ დაგვესურათებია მკითხველისთვის ისეთი წყობილება, რომელიც ხალხს ხელს არ შეუშლის ღირსეული წარმომადგენლების არჩევაში და ამ არჩეულებს—ხალხს სასარგებლო კანონების გამოცემაში.

მარა გადამეტებულ იმედებს დემოკრატიულ წყობილებაზე ვერ დავამყარებთ. სოციალ-დემოკრატიას ჯერ სურს ხალხის მოტყუება და ის დემოკრატიულ წყობილებას **სრულ** სამოთხეთ ვერ დაუხატავს მას.

თავისთავად ცხადია, სანამ საზოგადოებაში ეკონომიური უთანასწორობა არსებობს, სანამ ერთი ნაწილი მდიდარია, მეორე კი ღარიბი, ერთი დაქირავებული, მეორე კი დამქირავებელი, ერთი სიტყვით სანამ საზოგადოება ეკონომიურ უსამართლობასა და ადამიანისაგან ადამიანის გაყვლეფაზეა აგებული, შეუძლებელია რაიმე სახელმწიფო წყობილება **სრული** და უნაკლულო გამომხატველი იქნეს ხალხის ინტერესების. ეკონომიურათ დაჩაგრული კლასი ყოველთვის დაჩაგრული იქნება პოლიტიკურათაც. გაბატონებული კლასები ყოველთვის შესძლებენ მთავრობის მთელი ორგანიზაცია თავის სასარგებლოთ გამოიყენონ, ხალხის ინტერესები გაამრუდონ, ხალხის ნება გააუკულმართონ.

ძლიერისაგან უძლურის მოსყიდვა, მუქარა, დაშინება და სხვ. ჩვეულებრივი მოვლენაა. ხშირია აგრეთვე სარგებლობა სუსტის, ღარიბის, უცოდინარობით, გაუნათლებლობით და უვიცობით.

ამიტომ სოციალდემოკრატია ამბობს, რომ თვით დემოკრატიული წყობილებაც ვერ დააკმაყოფილებს **სავსებით** ხალხის ყველა საჭიროებებს, იგიც ვერ მისცემს ხალხს **სრულ** ბედნიერებას.

დემოკრატიული რესპუბლიკა კარგია მხოლოდ იმით, რომ საშვალებას აძლევს მშრომელს თავის ინტერესებისათვის იბრძოლოს, და ასეთ ბრძოლას უადვილებს.

ამ მხრით **დემოკრატიული რესპუბლიკა ყვე-**

ლაზე უმჯობესი პოლიტიკური ფორმაა ბურჟუა-ზიულ წყობილებაში მუშათა კლასისთვის.

მარა სოციალდემოკრატია ბურჟუაზიულ საზოგადოების ფარგლებით არ კმაყოფილდება. მისი საბოლოო მიზანია ადამიანისაგან ადამიანის დაჩაგვრა მოსპოს, კერძო საკუთრება გააუქმოს, და პოლიტიკურ თანასწორობასთან ერთათ ეკონომიური თანასწორობაც განახორციელოს. ეს შეიძლება ყველა საწარმოო იარაღების საზოგადო საკუთრებათ გამოცხადებით და საზოგადოებრივ წარმოების მოწყობით. მაშინ გაუქმდება კლასებათ დაყოფა, აღარ იქნება მდიდარი და ღარიბი. იქნება მხოლოდ საყოველთაო თანასწორობა და ბედნიერება.

ასეთ წყობილებას ეწოდება **სოციალიზმი.**

სოციალდემოკრატია დღევანდელ რევოლიუციის ხანაში ცდილობს განახორციელოს პრინციპი **პოლიტიკურ თანასწორობის,** ე. ი. თანასწორობის კანონის წინაშე, რისთვისაც მოითხოვს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებას.

მდიდართა მცირე რიცხვოვანი ჯგუფი მაშინ მუშათა კლასს პოლიტიკური უფლებით ველარ დაიმორჩილებს.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშათა კლასი სავსებით ისარგებლებს სრული თავისუფლებით სიტყვის, კრების, კავშირების, გაფიცვის და ამ საშვალებით მოემზადება მომავალი სოციალისტური წყობილებისათვის.

მხოლოდ შეგნებული, კლასობრივათ გათვითცნობიერებული, სოციალდემოკრატიულ პარტიებში და პროფესიონალურ კავშირებში შეერთებული პროლეტარიატი შესძლებს ბურჟუაზიული წყობილების საბოლოოთ დამხობას და ეკონომიურ თავისუფლების დამყარებას.

ამიტომ, დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალდემოკრატიულ პარტიისთვის მხოლოდ მახლობელი მიზანია და თან საშვალება საბოლოო მიზნის — სოციალიზმის განსახორციელებლათ.

აი ამისთვის ვთხოულობთ ჩვენ დღეს დემოკრატიულ რესპუბლიკის შემოღებას.